შეთანხმების აქტი №10.33/10/046-1

2018 წლის 21 მარტს გაფორმებულ №10.33/10/046 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ქ.თბილისი 2018 წლის 3 აპრილი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის გამგეობამ (შემდგომში „შემსყიდველი") და შპს „სახანძრო სიგნალიზაცია „ნაპერწკალმა" (შემდგომში „მიმწოდებელი") 2018 წლის 21 მარტს გააფორმეს №10.33/10/046 ხელშეკრულება ისნის რაიონის გამგეობის შენობის სამისამართო სახანძრო სიგნალიზაციის აღდგენა-შეკეთებისა და ინსტალაციის მომსახურების შესყიდვაზე, საერთო ღირებულებით 4 892,28 (ოთხი ათას რვაას ოთხმოცდათორმეტი ლარი და 28 თეთრი). შესყიდვის ობიექტის მიწოდების საბოლოო ვადად განისაზღვრა არაუგვიანეს 2018 წლის 21 აპრილი.

შპს „სახანძრო სიგნალიზაცია „ნაპერწკალმა" 2018 წლის 3 აპრილის N5 წერილით მომართა გამგეობას იმის შესახებ, რომ მომსახურების გაწევის პროცესში წარმოიშვა ახალი ტექნიკური დავალება, კერძოდ შეიქმნა ქალაქ თბილისის მერიის მხრიდან ისნის რაიონის გამგეობის შენობაში არსებული სახანძრო სიგნალიზაციის მონიტორინგის საჭიროება, რაც ხელშეკრულებით არ იყო გათვალისწინებული. ეს გარემოება მოითხოვს სხვა ტიპისა და მაღალი ხარისხის ევროსერთიფიცირებულ აპარატურას. აღნიშნული ცვლილებები იწვევს ხელშეკრულების საერთო ღირებულების გაზრდას 102,15 ლარით. ხელშეკრულების მე-9 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შესაძლებელია ხელშეკრულების ღირებულების გაზრდა 10%-ის ფარგლებში. აღნიშნული (მნიშვნელოვანი) ცვლილებებიდან გამომდინარე, შპს „სახანძრო სიგნალიზაცია „ნაპერწკალი" ითხოვს შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადის გაგრძელებას 2018 წლის 1 მაისამდე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მხარეები ვთანხმდებით შემდეგზე:

1. ისნის რაიონის გამგეობის შენობის სამისამართო სახანძრო სიგნალიზაციის აღდგენა-შეკეთებისა და ინსტალაციის მომსახურება გაგრძელდეს შპს „სახანძრო სიგნალიზაცია „ნაპერწკალი"-ს მიერ წარმოდგენილი, შემსყიდველთან შეთანხმებული კორექტირებული ხარჯთაღრიცხვის საფუძველზე. კორექტირებული ხარჯთაღრიცხვა თან ერთვის;
2. გაიზარდოს 2018 წლის 21 მარტს გაფორმებული №10.33/10/046 ხელშეკრულებით განსაზღვრული ისნის რაიონის გამგეობის შენობის სამისამართო სახანძრო სიგნალიზაციის აღდგენა-შეკეთებისა და ინსტალაციის მომსახურების ღირებულება 102,15 ლართ და განისაზღვროს 4 994.43 (ოთხი ათას ცხრაას ოთხმოცდათოთხმეტი ლარი და 43 თეთრი) ლარით;
3. 2018 წლის 21 მარტს გაფორმებული №10.33/10/046 ხელშეკრულებით განსაზღვრული ისნის რაიონის გამგეობის შენობის სამისამართო სახანძრო სიგნალიზაციის აღდგენა-შეკეთებისა და ინსტალაციის მომსახურების გაწევის საბოლოო ვადად განისაზღვროს 2018 წლის 1 მაისი, შესაბამისად ხელშეკრულების მოქმედების საბოლოო ვადად განისაზღვროს 2018 წლის 1 ივნისი;
4. წინამდებარე შეთანხმების აქტი ძალაშია ხელმოწერის დღიდან და წარმოადგენს ზემოაღნიშნული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;
5. წინამდებარე შეთანხმების აქტი შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად, რომლის თითოეული მხარე ინახება მხარეებთან;
6. 2018 წლის 21 მარტს გაფორმებული №10.33/10/046 ხელშეკრულების ყველა სხვა პირობა რჩება უცვლელი.

ისნის რაიონის გამგეობა

გამგებელი

_____ კ. ლაბუჩიძე

შპს „სახანძრო

სიგნალიზაცია „ნაპერწკალი"-ს

დირექტორი

_____ გ. ბერგეშვილიძე

ისნის რაიონის გამგეობის ბალანსზე არსებული სამისამართო სახანძრო სიგნალიზაციის აღდგენა-შეკეთება და ინსტალაციის კორექტირებული ხარჯთაღრიცხვა

N	საქონლის (მომსახურების) დასახელება	ზომის ერთეული	საქონლის რაოდენობა	საქონლის ერთეულის ღირებულება	საქონლის ღირებულება დღგ-ს ჩათვლით
1	სამისამართო სახანძრო პანელი SIMPO	ცალი	1	920	920,00
2	სამისამართო ბოლის დეტექტორი SensoIRIS S130	ცალი	46	48	2 208,00
3	ხელის ღილაკი SensoIRIS MCP150	ცალი	5	53	265,00
4	ხმოვანი სირენა SensoIRIS BSOU	ცალი	4	52	208,00
5	აკუმულიმიატორი 12B 18A	ცალი	1	100	100,00
6	სახანძრო ელ.კაბელი 2*1*0.8	მეტრი	10	0,9	9,00
7	სახანძრო დეტექტორის ბაზა SensoIRIS B124	ცალი	42	7	294,00
8	საკაბელო არხი	მეტრი	10	0,9	9,00
9	ქსელის მოდული Redundant Network IRIS/SIMPO	ცალი	1	184	184,00
	მასალა-მოწყობილობები:				4 197,00
	ხელობა				797,43
	საერთო ღირებულება:				4 994,43

შპს „სახანძრო სიგნალიზაცია ნაპერწკალი"-ს
დირექტორი: გ. გერგეშელიძე ----------

ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის მერია

tbilisi.gov.ge ცხელი ხაზი - (+995 32) 2722222

ნომერი: 10/01180932091-36
თარიღი: 03.04.2018 15:04
ვადა: 03.05.2018

განმცხადებელი (დაინტერესებული პირი)

შპს სახანძრო სიგნალიზაცია ნაპერწკალი საიდენტიფიკაციო კოდი : 204400969
მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის, ძველი თბილისის რაიონი, ლ. ასათიანის ქ., □ 13
საკონტაქტო ინფორმაცია: 8(99)50-35-68; 94-01-68; 899 50 35 68;
განცხადების N: 5 განცხადების თარიღი: 03.04.2018
ხელმომწერი: თანამდებობა:

განცხადების შემომტანი

ფელდეგერი: გიორგი გერგეშელიძე პირადი ნომერი: 01011018302

განცხადება/ნომენკლატურა

ისნის რაიონის გამგეობა
თავისუფალი განცხადება/წერილი

მოთხოვნის ტექსტი

ხელშეკრულების ვადის გაგრძელება

დამატებითი ინფორმაცია

- ფურცლების რაოდენობა: 2
- დანართი: -
- პასუხის გაცემის ფორმა: პირადი უზრუნველყოფით ხელზე გატანა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის გამგეობა
№ 10/01180932091-36
03.04.2018 : 15:04

FIRE ALARM "NAPERTSKALI" LIMITED
შპს „სახანძრო სიგნალიზაცია ნაპერწკალი"
GEORGIA 0105 Tbilisi L. Asatiani str. 13
საქართველო 0105 ქ.თბილისი ლ.ასათიანის ქ.13
277.83.76 . 274.79.68 მობ.599-50.35.68

3 აპრილი 2018 წელი №5

ქ. თბილისის ისნის რაიონის გამგეობის
გამგებელს ბატონ კ. ლაბუჩიძეს

წერილი

მოგახსენებთ რომ, ხელშეკრულების #10,33/10/046 -ის თანახმად 3ანხორციელებთ ისნის რაიონის გამგეობის ბალანსზე არსებული სამისამართო სახანძრო სიგნალიზაციის აღდგენა-შეკეთება და ინსტალაციის მომსახურებას.

ჩვენს მიერ სამუშაოების შესრულების დაწყებისას წარმოიშვა ახალი ტექნიკური დავალება, კერძოდ ქ. თბილისის მერიიდან ისნის გამგეობის ტერიტორიაზე არსებული სახანძრო სიგნალიზაციის მონიტორინგის საჭიროება. რაც მანამდე არ იყო გათვალისწინებული.

ეს გარემოება მოითხოვს სხვა ტიპის და ხარისხის აპარატურის ინსტალაციას და ასევე მერიაში მონიტორინგის ცენტრის არსებობას. ეს ყოველივე ტექნიკურად შესაძლებელი არის , მაგრამ ამისათვის საჭიროა ხელშეკრულების დანართი #1-ში სახანძრო სიგნალიზაციის პანელი და დეტექტორები შეიცვალოს სხვა ფირმის და მახასიათებლების მოდიციკაციით, რომელიც დააკმაყოფილებს ტექნიკურ პირობებს, ეს გამოიწვევს ხელშეკრულების ღირებულების უმნიშვნელოდ გაზრდას. კორექტირებული ხარჯთაღრიცხვა თან ერთვის. ამასთან, გთხოვთ მომსახურეობის გაწევის ვადა გაგვიგრძელოთ 2018 წლის 1 მაისის ჩათვლით.

გთხოთ ხელშეკრულებაში შეიტანოთ სათანადო ცვლილებები.

შპს „სახანძრო სიგნალიზაცია ნაპერწკალი"ს
დირექტორი გ. გერგეშელიძე